ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1–180

№1 (34) იანვარი, 2005 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირი გამგეობაში

17 იანვარს რაიონულ გამგეობაში გაიმართა თათბირი, რომელსაც წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები და რაიონის აქტივი ესწრებოდა.

თათბირს წარმართავდა რაიონის გამგებელი ბატონი თამაზ ქარსელაძე, რომელმაც ამომწურავად და გამჭირვალედ ისაუბრა 2005 წლის ბიუჯეტის პარამეტრებზე და რაიონში ელექტროენერგიის მოხმარების საკითხებზე, მიმოიხილა რაიონში მართლწესრიგის მდგომარეობა და მოსახლეობის სოციალური დონის ამაღლების გზები. თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ რაიონში გაეთდა გრაფიკები რაიონული აქტივისაგან საკრებულოებზე მიმაგრებასთან დაკავშირებით დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის მაქსიმალურად ამოღებისათვის და იმის გაკონტროლებისათვის, ვინ ხარჯავს დენს უმიზნოდ!

მწვავედ დაისვა ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებული საკითხი და აღინიშნა, რომ ქულბაქის უბნიდან კვლავ აქვს ადგილი კანონის საწინააღმდეგო ფაქტებს.

ბიუჯეტის თაობაზე ითქვა, რომ რაიონმა მოკლე ვადაში ზემდგომიდან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით უნდა დაამტკიცოს 2005 წლის ბიუჯეტი, სადაც ბევრი ცვლილებაა შესატანი და გასათვალისწინებელი.

რაიონის გამგებელმა აღნიშნა, რომ რაიონულ საავადმყოფოში ამ წელსაც გაგრძელდება ავადმყოფთა უფასო კვებისა და ანალიზების აღების პროგრამები, რაშიც რაიონული გამგეობა უდგას მხარში.

თათბირზე სხვა მრავალი საჭირბოროტო საკითხიც განიხილეს.

„სიცოცხლის გაგრძელებამ მენატრებამ“

№14 იანვარი—ლადოს დაბადების დღე—

პოეტის ჩამყუდროებულ ეზო-კარში, ამ იდუმალ გარემოში ერთხელ კიდევ ვიხსენებთ მარად ჭაბუკ ლადოს, რომელსაც „ვინ იცის, რა უხაროდა, ან ასე ძლიერ რა აწუხებდა“, რომელიც ამბობდა:

„რასაც მოვასწრებ, ვეცდები ისეთი წიგნები დავწერო, მკითხველს სიხირული რომ განაცდევინონ, ეს ქვეყნა შეაყვარონ და უკეთესი ცხოვრება მოანატრონ, ჩემმა წიგნებმა უნდა გაახალისონ მკითხველი, იყონ მისი მხიარული თანამგზავრები“.

მოდით, ერთხელ კიდევ ჩავუღრმავდეთ ლადოს მგრძნობიარე სტრიქონებს, ეს უფრო აგვიმღერევს სულს...

თენდება. ყველზე უწინ ჩიტების ჭიკჭიკი და ჟღურტული ჩამესმის ყურში—თვალებს ვჭყეტ, ზეზე წამოვარდები ფეხშიშველი. თავქუდმოგლეჯელი გავვარდები კარში! მზე ახლად ამოდის. გუმარეშის ჭალებში ჩრდილები წაგრძელებულან. გავრბივარ მდელოზე, ცვრიანი ბალახი შემიხიჩინებს ფეხის გულში და მთლად გავილუმპები. ერთი ასეთი სოფლის დილა ღირს მთელ სიცოცხლედ, ესაა მინის სინედლე და სურნელება,—ვაუასა და ფიროსმანს რომ უყვარდათ!

იყო და არა იყო რა... იყო ერთი... მართლაც ზღაპარია ჩვენი ცხოვრება!

ჭინჭველამ თუ იცის ჩვენი არსებობა? საერთოდ, ცხოველებმა თუ იციან, რას ვხლაფორთობთ ჩვენ? საინტერესოა, რას ფიქრობენ, როცა უყურებენ ჩვენს ნაცოდვილარსა და ნახელავს?

ალბათ, ჩვენც იმ ჭიანჭველასავით ვერ ვხედავთ და არ ვიცით ბევრი რამ. იქნებ, არის ვინმე ჩვენზე დიდი და ახლა ის დაგვყურებს, როგორც ჭიანჭველებს. ჩვენ კი ვერ ვგრძნობთ ამას!

სულ გარეთ და გაშლილ ჰაერზე ყოფნა მინდა. თითქოს მალე დავხუჭავ თვალებს და ვეღარ ვიხილავ თბილისის ზეცას.

კარგი სიტყვებია: ლაჯანური, ლაბეჭინა, ლეხიდრისთავი, ლეშკაში, ლაღუმელა, ლეხიდარი, ლაილაში, ლარჩვალი, ლაჯანა, ლასხანა, ლახეფა, ლასურიაში—მთელი ლეჩხუმი...

რამდენჯერ მომნატრებია ადრინდულად გასეირნება რუსთაველზე, ღამით მდუმარებაში. ახლა ჩემსავით აღარავინ დახეტიალობს აქ. აღარ ჩაუვლის ქაშვეთს.

ნისლები... რძისფერი ნისლები...

სიცოცხლე ეძახის ადამიანებს, სიცოცხლე ამოძრავებს მატერიკებს. სიცოცხლე მღერის გამარჯვების ხმაძარღვიან სიმღერას. სიცოცხლე დარბის პლანეტიდან პლანეტებზე.

ვინც იხილავს ლეჩხუმის მშვენებას: სარეწკელასა და ორპირის კლდეკარებს, ლაჯანურის ხეობას, მურის, ორბელის, გვესოს ციხეებს, ის პოეზიის ერთგული დარაჯი იქნება მუდამ.

დღეს ვიშოვე სამი მანეთი და ჩვენს საყვარელ მაგიდასთან მინდა დავჯდე—საშაქარლამოში. მინდა ვიფიქრო შენზე... სხვებზე... ყველაზე... ქვეყანაზე, ცოტა ჩემზეც.

რა ლამაზია ყველაფერი ამ ქვეყანაზე. აი, თუნდაც მოშრიალე „ჩვენი“ ჭადარი რუსთაველზე... გინდა სულ უმზირო და იფიქრო უკვდავებაზე...

ვიცი, ჩემი ცხოვრება ხანმოკლე იქნება და თვეებს საუკუნეებად ვითვლი.

ოცდაათ წლამდე სულ პოეზია. შემდეგ პროზა და დრამატურგია... მანამდე ხელს ვერ მოვკიდებ, ვერ გავბედავ.

ჩვენი აწმყო და მომავალი ისე დიდია, როგორც დიდი იყო ჩვენი წარსული.

შინ რომ შევაბიჯებ, ჩემი ჩიტუნია—მზეწვია, ჩემი პაწაწინა მანანა, მისი ღიმილი ყველაფერს მირჩევნია და სულ სიცოცხლის გაგრძელება მენატრება.

„ერა ერს ღალატობს, როგორი ერა გამოჩნდეს...“

ინტერვიუ

—შობა ახალ-წელი ვიზეიმეთ. როგორ მოულოცავთ ლეჩხუმელებს?

—პირველ ყოვლისა, ლეჩხუმელებს ვუსურვებ ნამდვილი ლეჩხუმელები ყოფილიყვნენ და მათი შრომა ყოფილიყოს დაფასებული. ლეჩხუმი—ეს არის ულამაზესი მხარე, ულამაზესი ხალხით, ისტორიულად, დღევანდელობით, მე მჯერა, რომ მომავლით. მინდა, რომ მართლაც საოცრად მშრომელ ხალხს, თავისი შრომის დაფასება ჰქონებოდეს. მე მათ შესაძლებლობის ფარგლებში მივულოცე ახალი წლის წინა დღეებში და კიდევ ერთხელ მივულოცავ, რამეთუ, ასე რომ ვთქვათ, ძველით ახალი წელი ძალიან მნიშვნელოვანია. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიზრდებოდი, უფრო მეტ მნიშვნელობას ოჯახში 14 იანვარს ანიჭებდნენ. მინდა დავლოცო ყველა ლეჩხუმელი და მათი სილამაზე.

—ბატონო ავთანდილ, როგორი იყო პირადად თქვენთვის წასული 2004 წელი?

—2004 წელი იყო სხვადასხვა ვითარებაში წარმართული ჩემთვის. 2003 წელს ლეჩხუმელთა მიერ არჩეული, პარლამენტში შევედი 2004 წელს. ესეც თავისებური სიტუაცია იყო. შემდეგ პარლამენტში მოღვაწეობასთან ერთად ჩემთვის უმთავრესი იყო, ჩემს საქმიანობას არ მოეწყდი. მე მთლიანობაში კმაყოფილი ვარ განვლილი წლის. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მომენიჭა 2004 წლის სახელმწიფო პრემია. მიმაჩნია, რომ ეკონომისტების უფრო მეტს იმსახურებენ და სამწუხაროდ, 30 წლის განმავლობაში არცერთ ეკონომისტს არ მიუღია ასთი პრემია. ეს იყო არა მარტო ჩემი დამსახურება, არამედ ჩემი კოლეგებისა, შესანიშნავი თაობების. ეს იქნება მომავალი ეკონომისტების სტიმული, მათ შორის ლეჩხუმელებსაც, რომლებიც დაიზრდებიან. მინდა გითხრათ, რომ შესანიშნავი თაობა იზრდება, ეს იყო შრომისა და დაძაბულობის წელი, გარკვეულწილად გარკვევის პერიოდი. მთლიანობაში გასული წლის კმაყოფილი ვარ. ძალიან მახარებს რომ 2004 წლის სახელმწიფო პრემია ჩემთან ერთად მიიღო, ღირსეულმა ლეჩხუმელმა, მიდიცინის მეცნიერებათა დოქტორმა გია ხვადაგიანმა. ეს არის ჩემი სიამაყე. გარწმუნებთ, რომ კიდევ არის შესანიშნავი თაობა, შესანიშნავი ლეჩხუმელი მეცნიერები, რომლებიც მიაღწევენ არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას. როცა საზეიმო ვითარებაში გადმოგვცეს სახელმწიფო პრემია, მე და გია განსაკუთრებულად ვეფერებოდით ერთმანეთს და ვიხსენებდით ჩვენ ბავშვობას, რომელიც ჩვენს საყვარელ ძმობლიურ ცაგერის საშუალო სკოლაში ერთად გავატარეთ. ეს ორმაგი სიხარული იყო ჩემთვის. ვულოცავ ჩემს გიას და წარმატებას ვუსურვებ.

—პარლამენტში შესვლის დღიდან, როგორც დეპუტატმა, ტრიბუნიდან რა საკითხის გადაჭრაში მიიღეთ მონაწილეობა. რა გაკეთდა თქვენი ხელდასმით ჩვენი რაიონისათვის?

—პარლამენტში არ არის ისეთი საკითხი, განსაკუთრებით სადაც ჩემი სიტყვა უნდა ვთქვა, მე გვერდი ავუარო არა ვარ, ის პიროვნება, რომელიც ძალიან ბევრს იხმაურებს და ყველა საკითხზე გამოვა, მაგრამ არც მდუმარედ ვიჯდები, რიცა ლეჩხუმისათვის რაიმეს გაკეთება შეიძლება. მე არაერთი გამოსვლა მქონდა ჩვენს პრობლემებზე. ეს არ არის ზეპირი სიტყვები, ამას უყურებს და უსმენს მთელი საქართველო. მე გამოვდივარ პრაქტიკულად ყველა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით რაც შეეხება ეკონომიკას ძალიან მაწუხებს ჩვენი, როგორც მთიანი რეგიონის პრობლემები. მიხარია და მიმსუბუქებს მდგომარეობას, რომ სულ უახლოეს პერიოდში, ყველა ეგრეთწოდებული გაყინული პენსია იქნება გასტუმრებული, ამასთან, მინიმალური პენსია გახდება ყველასათვის 28 ლარი. ესეც, რა თქმა უნდა, საკმარისი როდია. მაგრამ მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. მინდა გითხრათ, რომ ივივე რაიონის ბიუჯეტთან დაკავშირებით აქტიურად ვარ ჩართული რაიონის ხელმძღვანელობასთან, საფინანსო და საგადასახადო სამსახურებთან ერთად. უშუალოდ ვმონაწილეობ ფინანსთა სამინისტროში პროექტის მომზადებაში. შედეგსაც ეტყობა—ლეჩხუმს რაც შემოსავალი აქვს, 3-ჯერ მეტს ვიღებთ. გასულ წელს მივაღწიეთ, ბიუჯეტში მილიონ ნახევრის ფარგლებში დახმარება გვქონდა. ეს კი თითქმის 3-ჯერ აღემატება ადგილობრივ შემოსავლებს. ჩვენ ეს ფინანსური დახმარება მომდინარე წელსაც შევინარჩუნეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ გასულ წელს გადავარჩინეთ სამსახურიდან შემცირებას 300–400 საშტატო ერთეულის ადამიანი. წელს თითქმის 80–%-ით უფრო მეტი. თანხით დაფინანსება უზრუნველყოფილია, სხვას კი, როგორ განახორციელებს რაიონის ხელმძღვანელობა, ეს უკვე მისი საკითხია. ალბათ, ბევრმა შეამჩნია, რომ გაცილებით მნიშვნელოვანი ძვრებია საგზაო მშენებლობასთან დაკავშირებით. თუმცა, უამრავი პრობლემა კვლავ მოსაგვარებელი რჩება. მე მადლობელი ვარ შესაბამისი სამსახურების, რომლებიც ამ საქმიანობაში არიან ჩართული.

—ბატონო ავთანდილ, თქვენ გზების მშენებლობა ახსენეთ და გვერდს ვერ აუვლით ერთ მეტად აქტიურ საკითხს—ახლო მომავალში დაიწყება ქუთაისი—ალაპანის გზის კეთილმოწყობის სამუშაოები. ამის შესახებ ბევრმა ნახა თქვენი გამოსვლა პარლამენტი სხდომაზე. უფრო კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით.

—დავიწყებ თავიდან. ვიდრე პარლამენტის სხდომაზე დავაყენებდი ამ საკითხს, მე წერილობით მივმართე საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ზურაბ ჟვანიას. აი, ყველა დოკუმენტი მე დღეს თქვენს წინაშე წარვადგინე. სამწუხაროა, რომ ამის გაკეთება დამჭირდა. შემდეგ 2004 წლის 12 დეკემბერს პარლამენტის სხდომაზე გამოვედი. მოვიყვან ამონარიდს ჩემი გამოსვლიდან: „ბატონო ზურაბ, სხვა შეკითხვით მინდა მოგმართოთ ცაგერის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც თქვენ მოგეხსენებათ. მიუხედავად იმისა, რომ გზებთან დაკავშირებით ბევრი არის გაკეთებული, პრქტიკულად მოწყვეტილია ცენტრალური მაგისტრალი ქუთაისი—ალპანა—მამისონი, საკმაო დახმარებას საჭიროებს წყალტუბო—ცაგერისა და შემდეგ ლენტეხის მიმართულება...“ პრემიერ-მინისტრის, ბატონი ზურაბ ჟვანიას პასუხი ჩემს შეკითხვაზე: „ბატონ ავთო სილაგაძეს უნდა ვუთხრა, რომ ქუთაისი—ალპანის გზის მონაკვეთის მშენებლობას დავიწყებთ მომავალი წლიდან. მე მქონდა საუბარი ბატონ რომან დალაქიშვილთან. ასევე მან გამაცნო თქვენი მოთხოვნები ცაგერში არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით. ნამდვილად წესრიგში მოსაყვანია წყალტუბო—ცაგერის გზაც“...

ამონარიდი პრემიერ-მინისტრის გამოსვლიდან, 2004 წლის 27 დეკემბერი: „ჩვენ დავიწყებთ 2005 წელში ქუთაისი—ალპანის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციით... აი, ბატონი ავთო სილაგაძე მიყურებს ახლა მომლოდინედ, ვიტყვი თუ არა წყალტუბო—ცაგერი—ლენტეხის გზაზეც“...

კიდევ ვიმეორებ, ვწუხვარ, რომ ამ დოკუმენტით და სტენოგ-

„ერა ერს დაფარული, რომელი ერა გამოჩნდეს...“

ინტერვიუ

(დასასრული)

რაფიული ჩანაწერებით მომიწია გამოსვლა, მაგრამ სხვა რა გზაა, მაშინ, როცა ბევრმა ლეჩხუმელმაც კი, საკუთარი თვალით ნახა ჩემი გამოსვლა პარლამენტის სხდომაზე, ზოგიერთთათვის რატომ გახდა ის გაუგებარი? მინდა კითხვის ნიშნის ქვეშ დავსვა ეს საკითხი.

ზურაბ ჟვანიას სახელზე დაწერილი წერილი მე რაიონის გამგებელს გავაცანი. გადახედეთ დოკუმენტებს—უზარმაზარი როლი ამ საკითხის გადაჭრაში პრემიერ-მინისტრმა და საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შეასრულეს. ბატონი რომან დალაქიშვილი ჩვენ გვყავდა ლეჩხუმში. იგი გამოცდილი, უდიდესი სამსახურის ხელმძღვანელია, რამდენიმე გზის პარლამენტარი, მასთან ზერელე საუბარი ნამდვილად არ შეიძლება. ახლა რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარეს—როგორ შეიძლება არ ვახსენოთ ქალბატონი ნინო ბურჯანაძე.

მან მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია. ნუ დაგვიწყდება, რომ ყველაფერი ეს ხდება პრეზიდენტის მხარდაჭერით. თუნდაც ამ კუთხით, საკითხი არ იყო სწორად გაშუქებული, აი, ყველა დოკუმენტი ამის დამადასტურებელი. თუ ვინმე რამეს აკეთებს, მე არაფერი შემიმჩნევია, ყოველ შემთხვევაში დოკუმენტები ცალსახად ამას მეტყველებენ და „ამირან გულში მღეროდაო,“ ამით საავტორო უფლებებს ვერავის მივანიჭებთ. სხვათა შორის, არც მე ვცდილობ, რომ მივანიჭო. ვიქნები კატეგორიული: ვიყოთ უფრო მეტი პროფესიონალები და კორექტულები. „მოყვარეს პირში უზრახეო“—ყველას მოგეხსენებათ. დიახ, უნდა უზრახო, რათა მან შეძლოს სიმართლის ხიდზე დადგომა მაგრამ მოყვარეს სიცრუე უნდა უძახოო—ასე არავის არ უთქვამს, მოქმედებით კი ბევრი ადასტურებს ამას.

—ბატონო ავთანდილ, თქვენ ზემოთ ახსენეთ, რომ თავის დროზე პრემიერ-მინისტრის სახელზე დაწერილი წერილი თქვენ გააცანით რაიონის ხელმძღვანელობას... როგორი დამოკიდებულება გაქვთ დღეს მათთან?

—რაც შეხება დამოკიდებულებას —მე რაიონის ხელმძღვანელობასთან, მათ შორის წინასთანაც, დადებითი მქონდა. დადებითი უნდა მქონდეს იგი, როგორც დეპუტატს, ახლანდელთანაც. სხვანაირად, ლეჩხუმისათვის საქმე არ კეთდება. რაიონის ხელმძღვანელი თავის დროზე ჩემი ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო. ზოგადად მინდა ვთქვა, ყველას მისამართით—მე ლეჩხუმის 95%-მა ალალად მხარი დამიჭირა. ისეთი მხარდაჭერა, მხოლოდ არჩევნებში რომ გამემარჯვა, თუ მერე არ დამიჭერ სიმართლეში მხარს არ შეიტანს. ეს ბოლო ორი ... ეს ... ეს ... ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან კვირიკაშვილი:

„წესრიგს წესიერი კაცი უნდა იცავდეს...“

ამირან კვირიკაშვილი__დაიბადა 1960 წლის 1 ივნისს. 1977 წელს დაამთავრა ცაგერის რაიონის სოფ. ჩხუტელის საშუალო სკოლა, 1978 წელს ჩაერიცხა ქალაქ ქუთაისის მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ავტომექანიზაციის ფაკულტეტზე, 1983 წლის ოქტომბერში გაწვეულ იქნა სამხედრო_სავალდებულო სამსახურში, საიდანაც ოფიცრის წოდებით დაბრუნდა. მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

1996 წელს დაინიშნა ცაგერის პოლიციის უფროსის მოადგილედ. 1997 წლიდან კრიმინალური პოლიციის უფროსი გახლავთ, 1998 წელს გადაყვანილი იქნა წყალტუბოს რაიონის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სისხლის სამძებრო აპარატის განყოფილების უფროსად. 1999 წელს გადაჰყავთ იმერეთის სამხარეოს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის განყოფილების ინსპექტორად. 2000 წელს დაინიშნა ქალაქ ცაგერის შინაგანი რაიგანყოფილების უფროსის მოადგილედ, 2001 წლის 27 სექტემბრიდან ლენტეხის პოლიციის უფროსის თანამდებობაზეა. ხოლო 2004 წლიდან ცაგერის რაიონის შინაგანი რაიგანყოფილების უფროსი გახლავთ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

__ბატონო ამირან, პირველ რიგში მოგილოცავთ ახალ თანამდებობაზე დანიშვნას. რა არის თქვენთვის ეს ტვირთი თუ წარმატება?

__შენს მშობლიურ რაიონში ამ თანამდებობაზე ყოფნა ძალიან დიდი საპასუხისმგებლო საქმეა. მინდა გითხრათ, რომ გარკვეულწილად მე აქ მოსვლას გავურბოდი. რთულია შენს ხალხთან მუშაობა და მით უმეტეს ამ საფეხურზე, მეც და მირიანმაც გარკვეული წლები ამ თანამდებობაზე ვიმუშავეთ. მან თავისი ტრადიციები შექმნა ამ განყოფილებაში და შეიძლება ამ ეტაპზე სვანეთში იყოს ეს გამოცდილება საჭირო და პირიქით. ერთი რამ ცხადია, ჩვენი ფუნქცია არ ჰ გავს ათეული წლების წინ არსებული პოლიციის სტრუქტურას, რამეთუ დღეს ჩვენს სფეროში მიდის სერიოზული და ახალ-ახალი ძვრები. ეს მოდუნების საშუალებას ჩვენ არ გვაძლევს, ჩემს მოქალაქეობრივ ვალად ვთვლი, ჩამოყალიბდეს სულ სხვა სამართლებრივი ბაზაზე შექმნილი განყოფილება, რომელსაც საზოგადოებრივ მხრიდან დადებითი რეაქცია ექნება-, მე აქ ბევრი ახალგაზრდა ადამიანი დამხვდა, ისინი ახლა ყალიბდებიან თავიანთ პროფესიაში და მწამს რომ თავის სიტყვას იტყვიან, თუკი მე შევძელი, საზოგადოება მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ჰყავს ერთგული პოლიცია, ეს იქნება ჩემთვის, როგორც ლეჩხუმელი კაცისათვის ძალიან დიდი მონაპოვარი. აქ მომუშავემ გამორიცხულია პრივილეგირებულად იგრძნო თავი, თუ რა თქმა უნდა სერიოზულად ფიქრობ იმ მოვალეობაზე, რაც შენ გაკისრია საზოგადოების წინაშე.

__როგორი მდგომარეობა დაგხვდათ ცაგერის პოლიციაში?

__განყოფილება ათეული წლების წინ ძალიან ცუდ მდგომარეობაში გახლდათ. მოგეხსენებათ, გასულ წლებში მოხდა სისხლის სამართლის დანაშაული, სადაც დამნაშავეებთან ერთად თანამონაწილეებად ჩვენი თანამშრომლები აღმოჩნდნენ. ამან ძალიან იმოქმედა ჩვენი სამსახურის იმიჯზე, გამოითქვა უკმაყოფილება საზოგადოების მხრიდან და ეს ბუნებრივიცაა. ასეთი პოლიცია არავის სჭირდებოდა, აი, ასეთ რთულ პერიოდში ჩაიბარა ეს სტრუქტურა მირიანმა (მე მოადგილედ ვმუშაობდი) მინდა მისსავე სასარგებლოდ ვთქვა, მან არა მარტო შექმნა და ჩამოაყალიბა ეს რთული რგოლი არამედ თავისი მაჩვენებლების მიხედვით მხარეში პირველ ადგილზე გადმოანაცვლა, ახლა ეს ტრადიციები შეინარჩუნო, ან რაღაც ახალი, შენეული შესძინო ამ ორგანოს რთულია, მაგრამ იმედი მაქვს ყველა პრობლემა დაძლეული იქნება. მონაცვლეობის მომენტი არ მომხდარა ერთმანეთის დაპირისპირების ნიადაგზე. აქ ხელმძღვანელების სწორი გათვლა მოხდა. ჩვენს შორის დიდი მეგობრული დამოკიდებულება გახლავთ. ახლაც მეზობელი რაიონის პრობლემები ისევე მაწუხებს, როგორც ჩემი კუთხისა. დარწმუნებული ვარ ანალოგიურად მიაჩნია მირიანსაც. საზოგადოება-მალე მიხვდება ამ გადაადგილების მიზანშეწონილობას. შედეგებიდან ყველაფერი ნათლად წარმოჩინდება.

__როგორია თქვენი მატერიალურ_ტექნიკური ბაზა?

__დღესდღეობით გვყავს მუშა_მდგომარეობაში ორი მანქანა, რაიონის გამგებლის ბატონ თამაზის მიერ გადმოცემული 800 ლარით შევიძინეთ საბურავები. ამით ერთი პრობლემა მოგვეხსნა. თვითონ შენობა_ნაგებობა საჭიროებს კაპიტალურად შეკეთებას, არ გვაქვს თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა რაციები და ა. შ.

__რესპუბლიკაში მომხდარი ცვლილებების ფონზე ბევრი პოლიციელი უმუშევარი დარჩა, რა თქმა უნდა ჩვენთანაც. რომელ განყოფილებებს შეეხო? რას გვეტყოდით ამ მხრივ?

__ბედნიერებად მიმაჩნია, რომ გვერდით მყავს ახალგაზრდა პიროვნება, რომ იტყვიან ჩემს ხელში გაზრდილი, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, გაოცებული ვარ ისე კარგად ფლობს ოპერატიულ ვითარებას რაიონში. თამამად შემიძლია განვაცხადო, სოსო ლეთოდიანს ძალუძს მომავალში უფრო დიდ სიმაღლეებს მიაღწიოს საიმედო, დასაყრდენი პიროვნება გახლავთ და მე მჯერა სირთულეებს შეთანხმებულად გავუმკლავდებით, მინდა იცოდეთ, მე ერთი პრინციპით ვცხოვრობ და ვმუშაობ ამ სისტემაში, წესრიგს წესიერი, განათლებული, კანონმცოდნე კაცი უნდა იცავდეს, როცა ლენტეხის რაიონში დავიწყე მუშაობა საზოგადოებას განვუცხადე, ჯერ მე მოვწესრიგდები შინაგანად და მერე მივუთითებ სხვას წესრიგისაკენ.

ჩვენს სფეროში მიდის ძირეული რეორგანიზაცია, ყველა, ის თანამშრომელი, რომელიც დარჩება თავის თანამდებობაზე (და უმეტესობა დარჩება) იცხოვრებს ამ პრინციპით, ურთიერთობას ვერ ჩამოვაყალიბებ ჩვენსა და საზოგადოებას შორის თუკი ეს ასე არ იქნა. ვაი_უბედურება სწორედ ესაა. წარუმატებლობის პირველი მიზეზი კანონის არმცოდნე თანამშრომლობის არსებობაა. ამიტომ ხდება რადიკალური რეფორმები, ატესტაცია და ა. შ. არიან თანამშრომლები, ორ_ორი დიპლომები აქვთ, მაგრამ იურიდიული განათლება არ გააჩნიათ, ეს პრობლემა მარტო ჩვენთან არაა, მთელს სისტემაშია, ამის გამოა შემცირებები. ვიღაც თავს დაჩაგრულად იგრძნობს, მაგრამ ჩემი, როგორც უფროსის მოვალეობაა ფსიქოლოგიურად მოვამზადო, ვურჩიო რათა გადაადგილდეს სხვა სფეროში. ცაგერის რაიონული განყოფილების ორგანოში, არის 29 თანამშრომელი, აქედან 22 ოფიცერია, ხუთი რიგითი. სამი ნებით დაქირავებული პირი, ეს რაოდენობა სრულიად საკმარისია მუშაობის სწორად წარმართვისათვის.

__თქვენ ამ თანამდებობიდან მოხვედით ლენტეხის რაიონიდან. რა განსხვავებებს ხედავთ და იქ უფრო გიადვილდებოდათ მუშაობა, თუ აქ?

__ფაქტობრივად, ჩემი თავი, როგორც ხელმძღვანელი, სვანეთში გამოვცადე. ჩემი ხასიათებიდან გამომდინარე შევძელი ურთიერთობის დარეგულირება. გაწონასწორებული თუ არ ხარ გაგიძნელდება მათთან მუშაობა. სამი წლის განმავლობაში ოჯახთან კავშირი გაწყვეტილი მქონდა. იყო ბევრი წარუმატებლობაც, ყველაზე დიდი ტრაგედია განვიცადე მაშინ, როცა ერთ-ერთი ოპერატიული დავალების შესრულების მომენტში ბოროტმოქმედებმა ოცდახუთი წლის ახალგაზრდა თანამშრომელი მოგვიკლეს, დამნაშავე დღემდე დაუკავებელია და სინდისი მქეჯნის.

სიმართლე რომ გითხრათ გული დამწყდა იქედან წამოსვლით. ვცხოვრობდი რიგითი მოქალაქის პრობლემებით და არა თანამდებობის პრივილეგიით. თამამად შემიძლია ვთქვა, სვანეთში მოღვაწეობა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელი იქნება. რაც შეეხება ჩემს მშობლიურ კუთხეს, ლეჩხუმს. 25 წლიდან არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მიმუშავია. ბევრ ისეთ პიროვნებასთან მქონია ურთიერთობა, რომლებიც მაგალითნი არიან კაცობისა და ადამიანობის. ვცდილობ იმათი პრინციპებით ვიცხოვრო. ამ ხალხის დამსახურება გახლავთ, სწორედ ის, რომ არცერთ თანამდებობაზე ანგარებით არ მივსულვარ, მინდა აღვნიშნო აქ კრიმინალური სიტუაცია იმდენად არაა დაძაბული, რამდენადაც სხვა ადამიანური ურთიერთობები. ყოველგვარ ღონეს ვიხმარ, საზოგადოება იყოს ერთი-

გვ. 4

„და შეჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი“

„წმიდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამც თუ სულიერად, არამედ ხორციელად. იმ უდიდესმა მოძღვარმა, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფინა ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, გაუმოძღვანა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. და აი ათასხუთასი წელიწადია ამ ძალღონით ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ მიწა_წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება.“

წმიდა ილია მართალი

კაბადოკიელი ქალწული წმიდა ნინო დიდმონამე გიორგის ახლო ნათესავად ეკუთვნოდა, იგი რომის მხედარმთავარის ზაბულონის და იერუსალიმის პატრიარქის, იუბენალის დის, სოსანას, ერთ-ერთი ასული იყო. როცა ნინოს თორმეტი წელი შეუსრულდა, მშობლებმა ყველაფერი გაყიდეს და იერუსალიმში გადასახლდნენ.

წმიდა ქალაქში მისვლის შემდეგ, ნინოს მამამ, ზაბულონმა ბერად აღკვეცა გადაწყვიტა, გამოემშვიდობა ოჯახს და იორდანიას გაღმა უდაბნოს მიაშურა სამოღვაწეოდ,

ქმრის წასვლის შემდეგ სოსანა იერუსალიმის პატრიარქმა იუბენალმა დიაკონისად აკურთხა, ნინო კი აღსაზრდელად მისცა მოხუც ქალს სარა ნიაფორს, აღმზრდელი ქრისტიანულად ზრდიდა ნინოს. სწორედ მისგან გაიგო ნინომ ისიც, თუ როგორ მოხვდა ქრისტესკვართი წარმართა ქვეყანაში_საქართველოში.

ამ დღიდან ნინო გულმხურვალედ ევედრებოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და იმ პერანგის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა, რომელიც თავად ღვთისმშობელმა მოუქსოვა საყვარელ შვილს, ყოვლადწმიდა ქალწული სიზმარში გამოეცხადა და უთხრა წმიდა ნინოს: „წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე იქ სახარება უფლისა იესო ქრისტესი, მოიპოვებ მისგან მადლს და მე ვიქნები შენი მფარველი.“

ამის შემდეგ ნინომ ბიძას, პატრიარქ იუბენალს უამბო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულებრივ გამოცხადების შესახებ და გაუმჟღავნა სურვილი. საქართველოში საქადაგებლად წასვლა, პატრიარქმა აკურთხა დისწული, დაულოცა გზა.

რომში ჩასული ნინო შეხვდა მეფის ასულ რიფსიმესა და მის დედამოძუძე გაიანეს, რომლებიც ქრისტეს სჯულზე მოაქცია, ამ დროს რომის იმპერატორი იყო ქრისტიანთა სასტიკი მდევნელი დიოკლიტიანე, მას ძალზე მოეწონა რიფსიმე და გადაწყვიტა, ცოლად შეერთო იგი. წმიდა ქალწულები მიხვდნენ, რომ ეს მტრის ფარული ხრიკები იყო, ბილწთა და სამაგალითო კერპთა თაყვანისმცემელი მეფე ვერ იქნებოდა მეუღლე ქრისტიანი ქალისა. წმიდა ნინო, რიფსიმე გაიანე და მათთან ერთად ორმოცდაათი ქალწული სომხეთში გაიქცნენ.

დიოკლიტიანემ სომხეთის მეფის თრდატს სთხოვა მოეძებნა ისინი. თრდატ მეფემ იპოვა ქალები, მოიხიბლა რიფსიმეს სილამაზით და მისი ცოლად შერთვა განიზრახა. წმინდანი არ დაემორჩილა მეფის სურვილს, რისთვისაც თრდატ მეფემ ანამა იგი გაიანესა და 50 ქალწულთან ერთად.

წმიდა ნინო ვარდის ბუჩქებში დაიმალა უფალი სხვა ღვაწლისათვის ამზადებდა მისი სიყვარულით ანთებულ ქალწულს. წმ. ნინო საქართველოსკენ წამოვიდა. იგი ფარავნის ტბიდან შემოვიდა საქართველოში, დიდი ტანჯვა-წამებით მოაღწია ქალაქ ურბნისამდე. წმინდანმა იქ ერთი თვე დაჰყო, არმაზის კერპის თაყვანისცემად წამოსულ ქართველებს შეუერთდა და მცხეთაში ჩავიდა.

წმიდა მოციქულთა სწორის ღვაწლით საქართველოში განმტკიცდა ქრისტიანობა.

წმიდა ნინოს ცხოვრება მისივე მონათხრობიდან ჩაწერეს სალომე უჯარმულმა და პეროჟავრა სიკნიელმა.

წმინდანის სურვილისამებრ მისი პატიოსანი გვამი ბოდბეში დაფლეს, შემდეგ მის საფლავზე მირიან მეფემ წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი ააგო.

მასალა მოამზადა
ეკატერინე ბენდელიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ამირან კვირიკაშვილი:

„წესრიგს წესიერი კაცი უნდა იცავდეს...“

(დასასრული)

ანი. ამით არ ვამბობ, ყველამ ერთ ჩონგურზე დაუკრას... სიმები ცალ-ცალკე სხვადასხვა ხმას გამოსცემენ, მაგრამ მთლიანობაში შესანიშნავი, მელოდიური მუსიკა იქმნება. უნდა არსებობდეს მხოლოდ და მხოლოდ ჯანსაღი კრიტიკა.

—თუ გაატარეთ რაიმე ღონისძიება, რეორგანიზაციის მხრივ, ან თუ აპირებთ ახლო მომავალში?

—როგორც ჩემთვის ცნობილია, ორი თვის შემდეგ ჩამოყალიბდება საპატრულო პოლიციის განყოფილება, ეს დანაყოფი უბნის ინსპექტორების სამსახურის ხარჯზე შეიქმნა და საგზაო პოლიციის ფუნქციას შეითავსებს. ოპერატიულად დაგვექვემდებარებიან ჩვენ, მაგრამ სხვადასხვა საკითხებსა და თუ საკადრო ცვლილებების შემთხვევაში სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტს, ეკისრებათ ოცდაოთხსაათიანი პატრულირება და რეაგირება სათანადო ინფორმაციის შემთხვევაში. ორი სამინისტროს, შინაგან საქმეთა და უშიშროების აპარატის შერწყმით შეიქმნა ერთი დიდი მონსტრი, სადაც გაერთიანებულია რამდენიმე დეპარტამენტი: კონტრდაზვერვის, კრიმინალური, საპატრულო პოლიცია, რომლებსაც თავიანთი განსაზღვრული ფუნქცია აქვთ. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საპატრულო პოლიციის ავტორიტეტი რესპუბლიკაში იყოს მაღალ დონეზე. ნელ-ნელა იმსხვრევა გაბატონებული აზრი, იმის შესახებ, რომ წესრიგს მხოლოდ მუნდირიანი კაცი იცავდეს. ამ მთავრობის ერთ ერთ პრიორიტეტად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოების ჩარევა წესრიგის დაცვაში, ეს თითოეულმა მოქალაქემ უნდა გაითავისოს. გაივლის დრო, დამნაშავეობასთან ბრძოლა გაგრძელდება, მაგრამ ხალხი მადლიერი იქნება საპატრულო პოლიციის მუშაობით,

—ხომ არ გიძნელდებათ ერთმანეთს შეუთავსოთ ოჯახი, პროფესია?

—ცხოვრებაში თუ კი რაიმე წინსვლას მივაღწიე, მხოლოდ ჩემი ოჯახის გვერდში დგომით. საოცრად შეყვარებული გახლავართ ჩემს პროფესიაზე. ორგანოში მუშაობა იგივეა სამსხვერპლოზე შენი ფეხით მიხვიდე. თავისთავად ორმაგი წნეხის ქვეშაა ოჯახი. პრივილეგირებული ამ ორიდან ჩემი სამსახურია, ამით რა თქმა უნდა გარკვეულწილად ოჯახი ზარალდება, ძნელია აქ მომუშავე ადამიანის ხვედრი.

—კრიტიკულ მომენტში რომელი გძლევთ მორალური მხარე თუ კანონი?

—მე არასოდეს კანონისათვის არ მილალატია...

—წარმატებებს გისურვებთ!

□□□

კოვერნაგს უთქვამს, „საათის ღირსება ის კი არ არის, რომ გარბის, არამედ ის, რომ სწორად მუშაობს.“ ბატონი ამირანისათვის თანამდებობა და რეგალიები უცხო ნამდვილად არ არის, სადაც უმუშავია ყველგან ერთგულების, პატიოსნების, მეგობრობის სახელი დაუმკვიდრებია, აი, სწორედ ეს ადამიანური თვისებები ეხმარება მას სწორედ წარმართოს თავისი საქმე.

ეკა ყვირილიანი

ტუბერკულოზი—კაცობრიობის გლობალური საფრთხე

ნომის სტუმარია ექიმი-ფთიზიატრი ქალბატონი ვიოლა ზუხაბიანი

გასული საუკუნის ბოლოს ტუბერკულოზის ფართომასშტაბიანი ეპიდემიის საშიშროება იმდენად დიდი იყო მსოფლიოში, რომ 1993 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გადადგა უპრეცენდენტო ნაბიჯი—ტუბერკულიოზი განისაზღვრა და გამოცხადდა კაცობრიობის გლობალურ საფრთხედ.

დღეს მსოფლიოში ტუბერკულოზით იღუპება უფრო მეტი ახალგაზრდა და მოზრდილი, ვიდრე სხვა ნებისმიერი ინფექციური დაავადების გამო. მსოფლიოში ყოველ 10 წამში იღუპება ერთი ტუბერკულოზით დაავადებული, ხოლო 4 წამში ტუბერკულოზით ავადდება ერთი ადამიანი.

ბაქტერიოგამომყოფით მიმდინარე ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანი წელიწადში საშუალოდ 10-15 ადამიანს ასნებოვანებს.

ტუბერკულოზი არის ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს ტუბერკულოზის გამომწვევი მჟავე გამძლე მიკრობაქტერია.

ინფექციის ძირითად წყაროს ფილტვის ტუბერკულოზიით დაავადებული ბაქტერიაგამომყოფი ადამიანი წარმოადგენს, რომელიც ხველების, ცემინების და ლაპარაკის დროს ჰაერში გამოყოფს ტუბერკულოზის მიკრობაქტერიების შემცველ უმცირეს წვეთებს, ამიტომ ეს დაავადება ჰაერ–წვეთოვანი გზით ვრცელდება, ჯანმრთელი ადამიანი, რომელიც კონტაქტშია დაავადებულ ადამიანთან, დაავადების გადაცემის ალბათობა მეტია ჩასუნთქული ჰაერის ნაკადთან ერთად, აღწევენ ფილტვის ალვეოლებში, რის გამოც ფილტვის ქსოვილში ვითარდება პირველადი კერა.

პაციენტი ფილტვის ტუბერკულოზზე ეჭვმიტანილად ითვლება იმ შემთხვევაში თუ მას აღენიშნება:

1. წონაში დაკლება, ხველა 3 ან მეტი კვირის განმავლობაში ნახველის გამოყოფით.
2. საერთო სისუსტე, ქოშინი, ტკივილი გულმკერდის არეში.
3. ტემპერატურის მომატება, ოფლიანობა, უმადობა, დაღლილობა.

თუ ხველა სამ კვირაზე მეტ ხანს გრძელდება, აუცილებლად საჭიროა ექიმის კონსულტაცია. არ არის გამორიცხული, ტუბერკულოზის ღია ფორმით დაავადებული ავადმყოფი თავს სულაც არ გრძნობდეს ავად. ასეთი შემთხვევა განსაკუთრებით საშიშია თვითონ დაავადებულისათვის, მკურნალობის გარეშე ტუბერკულოზი განიცდის პროგრესირებას, ამძიმებს ავადმყოფის მდგომარეობას, საშიშია გარშემო მყოფთათვის.

ტუბერკულოზთან ბრძოლის ეროვნულ პროგრესში ნათქვამია, რომ ნებისმიერი ადამიანის მოვალეობაა, დაავადების შემთხვევაში განაცხადოს ამის შესახებ, ამ დროს გამოკვლეულ უნდა იქნას ბაცილგამომყვან ავადმყოფთან ბოლო კვირების ან თვეების მანძილზე მჭიდრო კონტაქტში მყოფი ყველა პირი. ჩატარდეს ნახველის ანალიზი და გულმკერდის რენტგენოგრაფიული გამოკვლევა,

ტუბერკულოზით დაავადებულის სწრაფი ღონისძიება, თავიდან აგვაცილებს დაავადების გავრცელებას.

ტუბერკულოზი არის დაავადება, რომელსაც წარმატებით, მკურნალობენ. ტუბერკულოზი განკურნებადია, ამისათვის საჭიროა, რომ ავადმყოფმა რეგულარულად და ხანგრძლივად მიიღოს ექიმის რჩევები და დანიშნული წამლები.

ასოცი ნიღაბი და ერთი სახე

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა, ჩვენი, ცაგერის სახალხო თეატრის ძველი დასი გავიხსენოთ დიდის სიყვარულით პატივისცემით, დიდი ტკივილითაც რამეთუ არა ერთი გამორჩეული რეჟისორი თუ შემსრულებელი ცოცხალთა შორის არ არის.

დღეს, შესანიშნავი რეჟისორი და მსახიობი, ლეჩხუმის ნამდვილი კოლორიტი სევერიან კოპალიანი გავიხსენეთ, რა დიდი სითბოთი წერდა მასზე რამდენიმე წლის წინ, მისი შვილიშვილი, ჟურნალისტი ნათია კოპალიანი, მაშინ ბაბუა ჭარმაგად გრძნობდა თავს, დღეს კი მისი ხსოვნის წინაშე ყველანი თავს ვხრით.

სურათზე... წელზე ფართოქამარშემორტყმული. 17 წლის ასხეპილი ბიჭი, ორი ნომრით პატარა „აზიაცკები,“ რომ ჩაუცვამს, უფრო გამომიჩნდებაო მაღალი კანჭები, გრძელთითებიანი ხელები მოხდენილად შემოუდევს თეძოზე. ქოჩორი ფაქიზად გადაუვარცხნია. გულუბრყვილოა მისი ღიმილი... აქედან ადის იგი სცენაზე, იწყება როლი ერთი, მეორე, მესამე... და ასმეოცე. ასოცი სპექტაკლის დიდი და პატარა როლი. დიდი და პატარა შემფასებლის წინაშე სევარიონ კოპალიანი ცხოვრებაში მორცხვი, თავის ქებაზე სიტყვა ძუნწი, და უცნაური კაცი, როლში საოცრად თამამი და აზარტული ყოფილა, სცენაზე გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე კულისებში იდგა. როლში შედიოდა და ტოვებდა მდინარეში შესული კაცის ტანსაცმელით თავის პირვანდელ სახეს, ნამდვილ სევარიონს ნაპირზე–„კულისებში“ კი შემოიხვევდა უჩინარ ტოგასავით გმირის ელასტიურ სახეს, მოისარტყლავდა არტისტული ალღოთი ნაქსოვ ნილაბს–ჟესტს, მიმიკას– ხმას, მიმოხრას. გული კი უცნაურად უცემდა, ფრთხილობდა, არ გავთამამდეო ზედმეტი ქება–დიდებით. ისე კი მართლა მოსწონდათ თურმე და არც თუ ისე უსაფუძვლოდ.

ერთხელ ცაგერში ჩამოსულა ცნობილი მსახიობი ოლღა დოლიძე. იმ დღით ადგილობრივებს წარმოდგენა უნდა გაემართათ. ქალბატონი ოლღა დაინტერესებულა და დასწრებია სპექტაკლს. ბატონი სევარიონი გულაფანცქალებული იჭყიტებოდა–თურმე ფარდიდან. ცოტა შემკრთალა– „ვაი თუ, არ გამოგვივიდესო.“ თავად ერთი მცირე როლი ჰქონია. სპექტაკლის შემდეგ ქალბატონი ოლღა ასულა სცენაზე და ყველასათვის გულთბილად მიულოცავს წარმატება. მიიხედა, მოიხედა და ის ბიჭი ვერსად დაინახა. პატარა როლი რომ ჰქონდა, მაგრამ ძალიან კარგი რომ იყო, ბოლოს უკითხავს–„სად წავიდა, ის ბიჭი მომიყვანეთო.“ ბატონი სევარიონი თავისი ჩვეული მორცხვობის გამო საგრიმიოროში შესულა, გარიდებია ოვაციებს, ბოლოს იპოვეს და მიუყვანეს ქალბატონ ოლღას იმას გულში თბილად ჩაუკრავს და უთქვამს „სად ხარ ბიჭო. რამდენი ხანია გეძებ, მე შენი გულისათვის ამოვედი სცენაზე, შენ კი სად დაიკარგეო.“ მისმა ოსტატობამ, სხვათა შორის, ცნობილი მწერალი და დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძეც აიყვანა სცენაზე.“ ქუთაისში ჩაიტანეს „კოლმეურნის ქორწინება.“ ბატონი სევარიონის ხახულით აღტაცებულ პოლიკარპე კაკაბაძეს დარბაზიდან შეუძახნია: „სევარიონ, სევარიონ, დიდი მადლობა!“ მკვირცხლად, მსუბუქად ამხტარა სცენაზე, გრიმიანად გულში ჩაუკრავს და უთქვამს– „ახლა ვიცანი ჩემი პიესა პირველად, ათი წელიწადი ამას ვწერდი, სად არ დავდიოდი, სად არ ვეძებდი ჩემს გმირს, ყველგან და ყველაფერში: –და, აი, იქ ვიხილე ყველანიო.“

ფრთხილი და ნელი. მაგრამ მწველი არტისტული ცეცხლით იყო გამომწვარაი მისი სახეები. „დაუნდობლად“ მკაცრი, ფიცხი და მომთხოვნი ყოფილა. როგორც რეჟისორი, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა თურმე, საიოლოს რომ შეატყობდა ვისმეს და ეს ნაპერწკლიანი სიმკაცრე დღემდე მოჰყვება ასაკისაგან შერბილებულ ხასიათში, ახლაც უცნაურ კრძალავს და პატივისცემას რომ იწევს ხოლმე სხვებში,

მის ცხოვრებაში ასეთი უცნაური შემთხვევაც მომხდარა: ომის შემდგომ წლებში ერთი ღვთისნიერი კაცი ყოფილა კულტურის სახლის დირექტორი. უყურა, უყურა–თურმე ამ კაცმა მის თავდაუზოგავ მუშაობას და ბოლოს, იმის მაგივრად დაებეზღლებია და სამსახურიდან გაეგდო (როგორც იმ დროის საქმის მკეთებელ და ნიჭიერ კაცს ექცეოდნენ), შესულა რაიკომის მდივანთან და განუცხადებია: „მე დირექტორობის ღირსი არა ვარ, არაფერს ვაკეთებ, სევარიონი კი ჩემზე მეტს მუშაობსო. მე გამათავისუფლეთ და გამიშვით, ვინც მუშაობს, ხელფასიც იმან აიღოსო.“ მართლაც გაათავისუფლეს დირექტორი და როცა ბატონ სევარიონს შესთავაზეს ეს თანამდებობა, სასტიკი უარი განუცხადებია: „რას ამბობთ, მერე ჩემს საქმეს ვინ გააკეთებსო.“

ნათამაშები სპექტაკლებიდან ყველაზე საყვარლები ამოირჩია: „ქრისტინე,“ „და-ძმა,“ ხევისბერი გოჩა,“ „ლეკის ქალი გუჯავარი,“ „ანზორი,“ „დემეტრე თავდადებული,“ „მაია წყნეთელი“ „კოლმეურნის ქორწინება,“ „ნატყვიარი ჭადარი,“ „ყვარყვარე თუთაბერი,“ „კომბლე,“ „ღირსეული მეუღლე“ და მრავალი სხვა, უცებ ვკითხები: „მანდილოსნები თუ იყვნენ გულგრილი, ბატონო სევარიონ, თქვენდამითქო...“ მორცხვად, ბავშვურად ეღიმება და რაღაცნაირად ემგვანება იმ ჩვიდმეტი წლის ასხეპილ ბიჭს, სურათზე ორი ნომრით პატარა „აზიაცკები“ რომ აცვია თავმოსაწონებლად.

ზის ჩემს წინ მოხუცებული მსახიობი. სპეტაკი ჭაღარით და ღრმად ჩამჯდარი სითბოს მატარებელი თვალებით, შემორჩენილი ლამაზი აღნაგობისა, მკაცრიც, ალერსიანი, სიტყვაძუნწიც, და მრავალმეტყველიც. ისევე უცნაური და სხვადასხვაგვარი, როგორც მისი როლები.

ნათია კოპალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ცვლილებებს უნდა ვილოდით... ჩვენს ჯიბეში!

(დასასრული)

ხელდასმით იმის თქმა, რომ ყველა არსებული (630) შტატი, რომლის შემცირებასაც ხელაღებით ითხოვდნენ, მ/წელს ალბათ შეუძლებელი ექნება იმიტომ, რომ ეს არის 1994 წლიდან წარმოშობილი და ჯერ-ჯერობით შენარჩუნებულია, თუმცა დღესაც არის მკაცრი მოთხოვნა. გამგებელიც გახლდათ ფინანსთა სამინისტროში და მითითებები ამ თემაზე არის სერიოზული, რომ შტატები უნდა შემცირდეს. ჩვენ ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციას გავუგზავნეთ მიმართვები ამის თაობაზე.

მოსახლეობისათვის ძლიერ საინტერესოა ე.წ. 115 ლარის საკითხი. საქმე ასეა—როცა მინიმალურ ხელფასზე ვლაპარაკობთ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს არის სახელმწიფოს მიერ დასადგენი უმნიშვნელოვანესი ეკ. ნორმატივი ეს მინიმალურ ხელფასი არის ეკ. კატეგორია, რომელსაც მოცემულ სახელწიფოში მოცემული მთავრობა აღგენს სამოქმედოდ. ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურად თუ არაოფიციალურად დღემდე ეს მინიმალური ხელფასის ოღენობა 20 ლარის ექვივალენტია. არსებობს შემთხვევები, როცა მაგალითად ადმინისტრაციული ჯარიმების დროს მინიმალურ ხელფასს ითვლიან 1 ლარისა და 50 თეთრის ოდენობით, მაგრამ როგორც ხელფასის მინიმუმი დღემდე 20 ლარია დადგენილი. მ/წელს, წინა წლებში დაუბეგრავი მინიმუმი თუ 9 ლარის ოღენობით იყო და იგი შეიძლებოდა დაუქვითავ მინიმუმად ჩაგვეთვალა, ახლა ამის გამოქვითვის საშუალებას არ გვაძლევენ. ჩვენს ხელფასებში ეს 9ლარი იმ 12%-შიეე დაიქვითება.

თუ სახელმწიფო განსაზღვრავს სამართლებრივ-ნორმატიული აქტით ქვეყანაში მინიმალური ხელფასის ოღენობას, და ეს იქნება პირობითად ვამბობ 115 ლარი, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ და კერძო სექტორმა არ შეიძლება პიროვნებაზე 115 ლარზე ნაკლები გასცეს, მაგრამ რადგან დღეს ასეთი ნორმატივი და კანონი ბოლოს დაბოლოს არა გვაქვს, ამ შემთხვევაში საქმე ასე მიდის: თუ ავიღებთ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებას (პარლამენტი და მასთან გათანაბრებული ორგანიზაციები, სახ. კანცელარია, პრეზიდენტის ადმინისტრაცია) დავინახავთ, რომ იქ ხელფასის ოღენობა არ გამოდის 115 ლარზე ნაკლები, მაგრამ ანალოგიურად ზოგ სახელმწიფო უწყებებში (შინაგან საქმეთა სამსახურებში) რა რაოდენობის შემცირებები განხორციელდა, და აქაც პრობლემების წინაშე დავდექით. ჩვენს ბიუჯეტში (115 ლარის შესახებ) ჯერ-ჯერობით ეს არ არის. გვეუბნებიან, რომ მარგის თვეში იქნება განხილვა აღმასრულებელ ხელისუფლებაში და სახ. პრივატიზაციის კაპიტალური შემოსავლებიდან გარკვეული ფონდი ჩაიდო სახ. ბიუჯეტში და ეს თანხები მიმართული უნდა იქნეს მაღალმთიან რეგიონებში სახელფასო ფონდის მოწესრიგებისათვის, მაგრამ ამ ეტაპზე არავის არ შეუძლია თქვას ეს იქნება 115 ლარ თუ 10 ლარი დანამატი. ეს არის წამოწყებული პოლიტიკა, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება.

თუ განიცადა რამე მნიშვნელოვანი ცვლილებები რაიონულმა ბიუჯეტმა?

—რაიონისათვის საბიუჯეტო პროცესი უწყვეტი პროცესია. მარგის თვიდან ახალ ბიუჯეტზე მუშაობა იწყება. ჩვენი რაიონის ბიუჯეტი იცით, რომ საკრებულოების შესაბამისად 16 დონის ბიუჯეტს შეიცავს, რაიონულ ბიუჯეტს და ნაერთ ბიუჯეტს. ამ ეტაპზე ზუსტდება საშემოსავლო ნაწილის ზუსტი პროგნოზი, შემდეგ ეს უნდა დაამტკიცოს საკრებულომ, ჩვენ ყოველდღიური კონსულტაციები გვაქვს საბიუჯეტო ორგანიზაციებთან. თვით ის შეღავათი საშემოსავლო გადასახადში, რომ ერთ და ორ შვილიანებს უნახევრდებათ დაქვითვა, ვისაც სამი და მეტი შვილი ჰყავთ, მთლიანად თავისუფლდებიან გადასახადისგან. ალბათ საშემოსავლო ნაწილი 45-50%-მდე შემცირდება, ყველა ამ შეღავათის გათვალისწინებით ჩვენ გავითვლით შემოსავლებს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საშემოსავლო ბაზები მცირდება, მეწარმეობის განვითარებისთვის და ბიუჯეტის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი რეზერვებია რაიონში, ქვეყნის ახალმა ეკ. ბლოკმა დაიწყო გრძელვადიან პროგრამებზე მუშაობა, სადაც ყველა ინვესტიციის მოზიდვით, საკუთარი რესურსების გამოვლინებით უნდა დადგეს ცაგერის რაიონის, როგორც ერთ-ერთი კუთხის, მხარის შემდგენელი ნაწილის პროგრამა (3 წლიანი მაინც), სადაც დამუშავდება ყველა ის პარამეტრი, რომელშიც ჩვენი რაიონისთვის პრიორიტეტია. ჩვენ, განყოფილებამ, სამსახურებთან ერთად შევადგინეთ პაკეტი ყველა ძირითად საკითხებზე და წარვადგინეთ ჩვენი წინადადებები, სხვა არსამთავრობო ორგანიზაციების, სოფის მიერ დაგეგმილია სამუშაოები, შემოვიდნენ დაინტერესებული პირები პრივატიზაციის ინტერესებით, მყონი, რომ რაიონში რაღაც წინსვლა და ამოქმედება დაიწყო.

გასულ წელთან შედარებით, თუ ადგილობრივი ბიუჯეტის ანალიზს გავაკეთებთ, მნიშვნელოვანი მატებაა, დაახლოებით 10-11%, გასულ 2004 წელს გეგმა აგდილობრივ ბიუჯეტში გეგმა 559 200ათასი ლარი იყო, 608 200-ით ლარით შევასრულეთ. სადღაც 49-50 ათი ათის ლარი გადავაჭარბეთ.

ყველა პარამეტრი შესრულებულია. მაგება იმანაც გამოიწვია, რომ თვით სახელმწიფომ აღიარა ყველა ვალი, რომელიც რეგორნების შიმართ ჰქონდათ და გასტუმრებაც დაიწყო. გარდა ამისა დიდია სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის როლი, აღრიცხვა მოწესრიგდა და მეწარმეები თვითონ ითხოვენ დოკუმენტაციის მოწესრიგებას.

აქ რა თქმა უნდა აგვილობრივ ორგანიზაციებსა და მმართველობასაც დიდი წვლილი მიუძღვით.

კიდევ ერთ ცვლილება—იხვეწება კანონმდებლობა, რათა ეამიჯნოს თვითმმართველობის, რაიონის, რაიონული გამგეობის უფლებამოსილება ყოველი კონკრეტული საკითხის მიმართ, რომ პარალელიზმი არ წარმოიშვას მართვის სფეროში.

და ბოლოს სტურქტურული ცვლილებების შესახებ?

—მინდა აღვნიშნო საგადასახადო სისტემა. ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა სახელმწიფო ინსპექციები, ჩვენი ინსპექტორები კი ამჟამად ექვემდებარებიან ქუთაისის ინსპექციას, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენს საგადასახადო სისტემასთან ვთანამშრომლობთ და ყველა ინფორმაციას მათი მეშვეობით ვიღებთ.

ცვლილებები განხორციელდა სტაგისტიკის სამსახურში, სამიდან ერთი დარჩა, ტეხ, აღრიცხვის ბიურო გაქმდა, პოლიციაში მუნიციპალური პოლიციის ხერჯები შეიძლება სახელმწიფომ აიღოს თავის თავზე, მედიცინის სფეროში შეიძლება იქნეს სიახლეები დაფინანსების სფეროში, მაღალმთიან სოფლებს დაემაგება სამედიცინო პუნქტები და ა.შ.

ასე, რომ ცვლილებები მრავალაღაა, ემაღლობთ!

ინტერვიუ მიჰყავდა
მარინა სვანიძეს

ასე შეგხვდით ახალ, 2005-ს

ჯაფე-საღამოზე

საახალწლოდ, ცაგერის სარაიონო კულტურის სახლმა, უკვე ტრადიციულ კაფე-საღამოს უმასპინძლა.

საღამოში მონაწილეობას იღებდნენ რაიონის სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლები, სტუდენტი-ახალგაზრდობა.

კულტურის სახლის დირექტორი, ქალბატონი დარეჯან საღინაძე ზეიმის მსვლელობაში სათითაოდ ულოცავდა ყველა დაწესებულების წარმომადგენელს დამდეგ ახალ წელს, სუფრაზე კი საერთოთამადადარჩეული თამაზ კოპალიანი განგრძობდა ღამაზ სადღეგრძელოებს.

ამ საღამოს სასიამოვნო განწყობასთან და ტკბილ სუფრასთან ერთად, იყო ცეკვა მუსიკა..., რაც, ალბათ, თითოეულ დამსწრეს კიდევ უფრო ახალისებდა.

კულტურის სახლის ვაჟთა და ქალთა ჯგუფები ჩვენს უსაყვარლეს სიმღერებს შესანიშნავად ასრულებდნენ. გვიმღერეს სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა, ჭიტა-ჭიტელებმა და სხვა მონაწილეებმა, ინსტრუმენტთან კი, რა თქმა უნდა, კვლავ ქალბატონი რუსუდან ყურაშვილი იჯდა, რომელმაც დარეჯან საღინაძესთან ერთად მხიარულ პაექრობაშიც მიიღო მონაწილეობა, შესანიშნავი მუსიკალური ნაწარმოები შეგვისრულა და დარბაზი აღაფრთოვანა. საგალობლის ჰანგები იღვრებოდა სტუდენტთა სუფრიდან, რამაც მუსიკალური განწყობა კიდევ უფრო აამაღლა. იყო ლექსიც... რომელიც ჭიტა-ჭიტას აღსაზრდელმა გვანცა ახვლედიანმა წაგვიკითხა. იყო ბევრი იუმორი და ფრთიანი ფრაზები ქალბატონ დარეჯანის მხრიდან.

საღამოში ჩვეულად მონაწილეობდა ცაგერის ახალგაზრდული საქმეთა განყოფილება (თამილა ჭაბუკიანი, ნუგეშ კოპალიანი), მათ მიერ წესადქცეულ ე.წ. „წყვილთა ცეკვაში", რამდენიმე წყვილმა მიიღო მონაწილეობა და საუკეთესომ სამახსოვრო საჩუქარიც მიიღო.

ყველაზე სასიამოვნო კი, რაც მათ დამსწრეთათვის საახალწლოდ გააკეთეს, ლატარიის გათამაშება გახლდათ, მოგებულებმა მშვენიერი პრიზები წაიღეს შინ, მათ შორის, ტელეფონის მონო ბარათები —ახლობელთათვის ტელეფონით შობა-ახალ წლის მისალოცად. აქვე მყოფებოდა რაიონის გამგებელი, ბატონი თამაზ ქარსელაძე, რომელმაც მიულოცა დამსწრეთ ახალი წლის დადგომა და მთავრობის სხვა წარმომადგენლები.

დაუვიწყარმა საღამომ მშვენივრად ჩაიარა და ყველამ დიდად კმაყოფილმა დატოვა მშვენივრად მორთული საახალწლო დარბაზი და წაიყოლია სასიამოვნო განწყობა, შვიდკაცას მიერ შესრულებულ სიმღერად დაგვირგვინებული.

თამარ დავითულიანი

ცაგერის საშუალო სკოლაში

ახალი წლის შემობრძანება იზეიმეს ცაგერის საშუალო სკოლაში (დირექტორი ნუნუ ჩაკვეტაძე, სასწავლო ნაწილის გამგე ლალი ჩიქოვანი), ჯერ კიდევ სკოლაში მისვლამდე ვიცოდი, რომ, როგორც, ყოველთვის, ახლაც მშვენიერ ზეიმს შემოგვთავაზებდნენ მოსწავლეები და პედაგოგები...

საღამო საქართველოს სახელმწფიო ჰიმნის ფონზე დაიწყო, რომელსაც მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა, შემდეგ კი წამფვანებმა—ნიკოლოზ ჩაკვეტაძემ და დავით თოდაძემ ახალი—2005 წლის დადგომა მოგვილოცეს. „ჩვენს დღევანდელ ღონისძიებას ცაგერის საშუალო სკოლის გერმანული ენის წრის (ხელმძღვანელი მარინა ბურჯალიანი) მოსწავლეები წარმოგვიდგენენ, სადაც კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს იმას, რომ მშვიდობა, ადამიანთა სულების გაერთიანება, სიყვარული და ქრისტიანობის დაცვა ისეთივე პატივსაგებია ქართველთათვის, როგორც გერმანელთათვის და საერთოდ, ყველა კეთილი ნების ადამიანისათვის"—აღნიშნეს.

ლექსები და მუსიკალური ნომრები გერმანულ და ქართულ ენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ...

შობა-ახალი წლის მობრძანება მიულოცა სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებს და დამსწრეთ ცაგერის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა—მამა გიორგიმ (მდივანი) და დალოცა ისინი.

ბავშვებმა ისაუბრეს ქართული და გერმანული ერის მეგობრობაზე, რის დასტურადაც გერმანელი პუბლიცისტის არტურ ლაისტის ქართველ კლასიკოსებთან—ილია ჭავჭავაძესთან, ნიკო ნიკოლაძესთან, რაფიელ ერისთავსა და სხვებთან მეგობრობა გაიხსენეს. ამით, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ გერმანული ენის პედაგოგები მოსწავლეებს მრავალმხრივ ცოდნას აძლევენ.

ახალი წლის მოლოცვით გამოვიდა ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი ქალბატონი ნუნუ ჩაკვეტაძე, რის შემდეგაც სკოლის აღსაზრდელმა ვაჟებმა მთიულური ცეკვა შეასრულეს.

ბავშვებმა ჯველასათვის საყვარელი სიმღერა ტურფავ-ტურფავ გვიმღერეს და აქვე შეგვახსნეს, რომ ამ გადმოქართულებული და ქართულ ხასიათში საკმაოდ ჩამჯდარი სიმღერის ტექსტი გერმანელ პოეტს—ჰაინრიხ ჰაინეს ეკუთვნის...

და კიდევ მრავალი სიმღერა... მინდა აღვინშნო, რომ თითქმის ყველა ბავშვი მშვენიერ მუსიკალურობას ამჟღავნებს, რაც, უდავოდ, ქალბატონ რუსუდან ყურაშვილის დამსახურებაა.

ზეიმზე შესრულდა მონტაჟი ინგლისურ ენაზე (წრის ხელმძღვანელი რუსუდან ჩივაძე), რამაც უფრო გაამრავალფეროვნა საღამო.

ზეიმს ესწრებოდნენ რაიონის გამგებელი თამაზ ქარსელაძე, რომელმაც ახალი წელი მოულოცა საზოგადოებას, გამგებლის მოადგილე გურამ ყურაშვილი, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ბეჟან ღურჭუმალაძე, პარლამენტარი ვალერი გიორგობიანი, მან ახალი წელი მიულოცა სკოლის პედაგოგ-აღმზრდელს და დიდი კმაყოფილება გამოთქვა მათი მისამართით, აღნიშნა, რომ ცაგერის საშუალო სკოლის დღევანდელი მდგომარეობა ბევრი დიდი ქალაქების სკოლებისათვის შესაშურია, რაც, უდავოდ, სკოლის დირექციის და პედაგოგების დამსახურებაა.

უშუალოდ ამ ღონისძიების წარმატება კი გერმანული ენის პედაგოგების მარინა ბურჯალიანისა და იზო ხვადაგიანის დამსახურებაა, რომელთაც დახმარებას უწევდნენ დავით ცვარიანი, რუსუდან ყურაშვილი, სკოლის დირექტორი და სხვები.

ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ ბეჟან ღურჭუმალიძემ და პარლამენტარმა ვალერი გიორგობიანმა სკოლის პედაგოგ-აღსაზრდელებს საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

მინდა ეს წერილი ზეიმზე გაჟღერებული გრიგოლ რობაქიძის ფრაზით დავასრულო: „გულწრფელ იღეთ ყურად სიტყვა ესე, რომელიც წრფელი გულიდანაა წარმოშვებული... ისმენთ ამ ხმას, თქვენში წამოიჭრებიან წმიდა ნინო, რომელმაც ვაზის ჯვრით გვაზიარა ქრისტეს მცნებას, დავით აღმაშენებელი—ფუძემდებელი საქართველოს ხელმწიფების, მეფე თამარ, მზიური შარავანდი იმ ხელმწიფების, ქეთევან დედოფალი—წმიდა ნინოს დობილი, წამებული ვაზის ჯვრისთვის... ახალგაზრდებო, ხალასო ნერგებო საქართველოს მომავლისა! გესმით?"

თამარ დავითულიანი

საშობაო ზეიმი გიმნაზიაში

საშობაო ზეიმი იდგა იმ დღეს ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში, რომელსაც უამრავი სტუმარმასპინძელი ჰყავდა 14 იანვარს.

ღონისძიებას სტუმრობდნენ პარლამენტის წევრი ბატონი ვალერი გიორგობიანი, რაიონის გამგებელი ბატ. თამაზ ქარსელაძე, გამგებლის მოადგილე გურამ ყურაშვილი, განათლების განყოფილების გამგე გულივერ ბრეგვაძე, რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ლეილა გურგუჩიანი, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თავმჯდომარე პიერ ფუტკარაძე.

ღონისძიების ხელმძღვანელმა და გიმნაზიის ორგანიზატორმა ეკატერინე ბენდელიანმა დამსწრე საზოგადოებას ცაგერის საშუალო სკოლის და გიმნაზიის მოსწავლეების შემოქმედებით ერთხელ კიდევ შეგვახსენეს უფლის ჩვენისა, მაცხოვრის იესო ქრისტეს დაბადების, განკაცების და უკვდავების მარადიულობა, ერთხედ კიდევ გვიქადაგეს, რომ იგი მხოლოდ სიყვარულს, ურთიერთგატანას, მიტევებას, არა ცუდის, არამედ მხოლოდ სიკეთის ქმნას ასწავლის ადამის მოდგმას.

„ეყვარებოდეთ ურთიერთ არს"—ეს სიტყვები გასდევდა ლაიტმოტივად მთელ საღამოს და თვით ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსის მეუფის სტეფანეს ქადაგებას.

საინტერესოდ წარიმართა საზრიანთა და გონებამახვილთა კლების თამაშები, რომელშიც მონაწილეობდნენ არამარტო ბავშვები, არამედ მაყურებლებისგან ნარდგენილი უფროსებიც.

გალობისა და ქრისტესმიერი სიყვარულით გაჟღენთილმა საღამომ კიდევ ერთი საინტერესო დღე გვაჩუქა.

მარინა სვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავთ

სპორტის 2004 წლის ლაურეატები

რაიონული სპორტკომიტეტის სპეციალურმა კომისიამ შეაჯამა 2004 წლის რაიონის სპორტული შედეგები.

რაიონის 2004 წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა **ზვიად ბურჯალიანი** (თავისუფალი ჭიდაობა).

საუკეთესო მწვრთნელის სახელი მოიპოვა__**თენგიზ საღინაძემ** (ფრენბურთი).

ლაურეატებს გადაეცათ სპეციალური მედლები და სამახსოვრო საჩუქრები.

__ცაგერის რაიონის ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრები (მწვრთნელი თენგიზ საღინაძე)

წარმატებული შედეგებისათვის წლის განმავლობაში სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდნენ:

ცაგერის რაიონის ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრები (მწვრთნელი თენგიზ საღინაძე)

__ცაგერის „ხვამლის“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი: პორფილე კოპალიანი)

__რაიონის ჭაბუკ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი (მწვრთნელი: ალუდა სილაგაძე).

__რაიონის ჭაბუკთა ნაკრები გუნდი ქართულ ჭიდაობაში (მწვრთნელები: კობა ქომეთიანი და ირაკლი ხაბულიანი).

ლაურეატთა დაჯილდოება საზეიმო ვითარებაში მოხდა ცაგერში ჩატარებულ საახალწლო კაფე საღამოზე.

გიორგი კვირიკაშვილი,
რაიონის სპორტკომიტეტის
თავმჯდომარე

ზაზა თამაზის ძე ჟენჭაძის მონატრება

„ვაი, იმ დედას, შვილის სიკვდილს რომ ეტყვიან...

ვაი, იმ მამას ერთადერთი შვილის ცხედარს მოტყვილებით რომ აჩვენებენ...

ვაი, იმ მინას, შენნაირი ლამაზი სულისა და სხეულის მქონე ვაჟკაცს რომ მიიბარებს“...

ვაი, შენს უბედურ დედას და ვაი, შენს სვებედგამწარებულ მამას“... ამ სიტყვების ამოოხვრით იწყება ჩვენთვის ყოველი დღე. ვაი, შენს დედას და დილის არ გათენება, ჩემო ლამაზო შვილო ამ სიტყვებს ბუტბუტებს შენი დღედაბნელებული დედა ყოველ საღამოს შენს სურათებთან მუხლდაჩოქილი და თვალცრემლიანი და ამ კვნესასა და წუხილში, თურმე, შვიდი თვეც მილეულა, შვილო, შვიდი გაუსაძლისი მონატრების თვე.

დღეს, დედი, შენს მიერ დაწერილ ლექსს ვკითხულობდი, რომელშიც დიდი ტკივილით ეკითხები შენს საყვარელ ლელას:

„ნუთუ აღარა ხარ ლელა, როგორ დაგიჯერო, როგორ? ღმერთსაც კარგი უნდა, ალბათ, ჩვენო თვალხატულა გოგო“...

ეს სიტყვები ლელას გარდაცვალებით გამოწვეულმა სევდამ დაგაწერინა. დედი, რა იცოდი, შვილო, თუ ორი წლის მერე შენი უბედური დედა, შენივე მონატრებით დასნეულებული, შენივე სიტყვებს შენზედ გაიმეორებდა. ჰო, დედი, ახლა შენს სიყვარულს და მონატრების სურვილი შენზედ წერაში ვიკლავ.

გახსოვს, ზაკუ, პირველი ლექსი რომ დაწერე ჯერ კიდევ პატარამ, ორსტროფიანი ლეჩხუმზე, (მას მე სათუთად ვინახავ შენს პირველკლასელის ჩანთაში სხვა შენს ხელნაკიდ ნივთებთან ერთად) რა გაბადრული სახით მომირბენინე, გულში ჩამიხუტე და ტაატით მითხარი: „დედი, უყურე, ლექსი დავწერე, დედი, დედი, სულ შენ გგავარ ლექსების წერაშიო“... ნეტავ იმ დროს, შვილო, რა ბედნიერები ვიყავით... ზოგჯერ მეშინოდა კიდეც აზროვნება და გონიერება ბევრად რომ უსწრებდა ასაკს. ახლა ვხვდები, თურმე, რატომ იყავი ასეთი სწრაფმზარდი. მახსოვს მეოთხე კლასში იყავი რომ აიკვიატე ლექსი: „მე ათი წლის ბიჭი ვარ და საუკუნე დამაქვს მხრებით“-ო. რაღაცატომ ცუდად მოხვდა ჩემს ყურებს და გაგიწყერი კიდეც: „რასაა ბიჭო, რომ დაიჯინე ეს ლექსი-მეთქი.“ აი, თურმე რატომ. სულ რაღაც 24 წლისამ მართლაც მთელი საუკუნე დაიტია. ყველაფერი მოასწარი ჩემო განუმეორებელო შვილო. ან რა გული იტევდა იმდენ სითბოსა და სიყვარულს, გულკეთილობასა და სიკეთეს, წყენასა თუ ტკივილს (რომელსაც არავის არასოდეს არ აგრძნობინებდი). მიკვირს შენ რა ყოფილხარ, მართლა არ გვცოდნია მე და საბრალო მამაშენს, რომელიც შენზედ დარდმა დაადნო, რომელსაც, რაც კარგი ჰქონდა, ყველაფერი წარსტაცე და უსაზღვრო მონატრების სევდა და აწგარდაცვლილი განუმეორებელი მამაშვილობაღა დაუტოვე.

მერე... რა უცებ გაირბინეს წლებმა. უკან დავტოვეთ სკოლის წლები. ისე სწრაფად დაგვივაჟკაცდი, თვალს არ ვუჯერებდით. ახლა წლებს სიმაღლემ და ვაჟკაცობამ დიდად გაუსწრო. ჩვენ ისევ პატარასავით გეალესებოდით, თავს ჯარასავით გევლებოდით, შენი სიხარულით ვხარობდით და შენი სუნთქვით ვსუნთქავდით. ყოველი დილა შენს ოთახში შემოხედვით და შენი მოსიყვარულებით იწყებოდა, რასაც ახლაც ისნტიქტურად ვაკეთებ, მაგრამ იქ შენი ცარიელი საწოლი და ნაირ-ნაირი სურათები მხვდებიან, შვილო. ვერ წარმოიდგენ, რა მწარეა ჩემთვის თითოეული დღის გათენება.

როცა წარბს შეხრიდი, დაფეთებული გეკითხებოდი ამოდენა კაცს ხომ არაფერი გტკივათქო. ჯერ გამინყრებოდი, მერე საოცარი ღიმილით შემომხედავდი, თვალს ჩამიკრავდი და შენეული იუმორით მეტყოდი: „ნუ გეშინია, დედიკო, ზევიდან თუ არაფერი დამეცა, ისე ასწლიანი ვარ, იცოდეო“. ერთმა ნამცეცა ჭრილობამ როგორ წაგაქცია ეს მთასავით კაცი, შვილო, ან იმ პატარა ბიჭისაგან როგორ ვერ დაიცავი თავი. მაგოდენა მკლავებმა და ფართო მხრებმა რად ვერ დაგიცვეს, შვილო, მაგრამ შენი სიკვდილი ხომ ღალატით იყო, და მერე ვისგან, ლეჩხუმელებისაგან და „ვაი ძმაკაცების“ ღალატით მიყენებული ჭრილობა ბრმა ტყვიაზე უფრო ძლიერია. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ, რა უნდა ვუწოდოთ იმ გარეწარი ლეჩხუმლების საქციელი, რომლებმაც (ისინი ხუთნი იყვნენ) სასიკვდილო განაჩენი გამოგიტანეს. უპრეტენზიო, უწყინარი, ჩვილი გულის პატრონი, მოქნეულ ე.წ. „ურჩხულ“ იარაღს უშიშრად წინ აეფარე და როცა სიკდილს შენი ლამაზი სულით თვალებში ჩახედე, სწორედ მაშინ გიმუხთლეს, წინასწარშემუშავებული გეგმით იხელმძღვანელეს და ნაცვლად იმისა, რომ შენს მკვლელს დადევნებოდნენ და სამაგიერო გადაეხადათ ლაჩრულად მიგატოვეს. და როცა წუთები წყვეტდა შენს სიცოცხლეს, ორი საათი უპატრონოდ, უსასოოდ უძალოდქმნილი ქვაფენილზე ჩაკეცილი მიგატოვეს. ვაუკაცურად გეგონა უმკლავდებოდი ჭრილობას, მაგრამ, ვაი რომ მომაკვდინებელი შეიქნა, სრულიად არცერთი ორგანოს დაუზიანებლად. იქ, ქვაფენილზე დალიე სული და მხოლოდ გამთენიისას, უკვე მკვდარი მიგიყვანეს საავადმყოფოში, სადაც თურმე მერე ეძახდნენ ექიმს, „დედისერთაა და ნუ მოკლავო“.

მხოლოდ მაშინ, როცა შენი ლამაზი სული უფალთან დაფრინავდა, და გარინდული, თვალცრემლიანი, ოდნავღიმილშერჩენილი ბაგეებით, რომლებმაც ალბათ, ბევრჯერ წარმოთქვეს „ვაი, დედავ“, ემშვიდობებოდი შენს საყვარელ დედ-მამას და სათაყვანო ლეჩხუმს. იმ ხუთეულს, რომელთაც დღეს შენი მშობლები და გამოძიება შეცდომაში შეჰყავთ, მთელი ლეჩხუმი იცნობს, როგორც ერთი კაცური კაცის, საოცრად განსხვავებული ბუნების მქონე დედისერთა ზაზა თამაზის ძე კენჭაძის მკვლელობის თანამონაწილეებს. ისინი დედი საკადრისად დაისჯებიან, შენს სიკვდილს არავის შევარჩენთ.

დრო საოცარი სისწრაფით მიდის... უკან არ იხედება. ჩვენ მაინც წარსულში ვიხედებით, აწმყო აღარ გვაქვს, მომავლიდან არაფერს ველით, იგი ჩვენთვის მკვდარია. მხოლოდ იმ წარსულში ვიხედებით, საიდან შენი უმწიკვლო, ლამაზი და სპეტაკი ცხოვრება, მუდამ საქმიანი, დაფიქრებული, ჭკვიანი და პატიოსანი გზით განვლილი 24 წელი გვიმზერს. მხოლოდ შენი წარსულით ვცხოვრობთ და გვეამაყები, შვილო. ამიტომაც ჯერ კიდევ ვერ გაგვიაზრებია, რა უბედურებაც გვჭირს, რასაც „ნუთუ აღარა ხარ, ზაზა, როგორ დავიჯეროთ, როგორ“...

იძინე, ზაზა შენს სამუდამო საუფლოში მშვიდად. შობა-ახალ წელს გილოცავთ, დედი. დღეს, რომელიც შენ ყველაზე მეტად გიყვარდა. თუკი ამქვეყნიური ცხოვრებიდან გულდაწყვეტილი წახვედი, რომ მრავალი ახალი წლის მოსვლა არ მოგესწრო, იქ მარადიულ საუფლოში იყავ დღეგრძელი.

დაე, ჩვენმა სანთელმა და გაცემულმა სიკეთემ გზა გაგინათლოს სასუფეველში. ოღონდ ერთს კი გთხოვთ, შვილო გვიშუამდგომლე უფალთან მალე მიიბაროს უპატრონოდ, უიმედოდ დარჩენილი შენი უბედური დედ-მამის სული.

უბედური დედა
და მამა.

სიჯრაქნის საგანძური

როცა ჯაცსა არა სწადდეს,
არა საქმე არ იქნების

□

და თუ არსებობს ღმერთი ამ ქვეყნად, ის სიყვარულის ღმერთი იქნება

□

ჯარგია, როცა არავის ელი, არავის ელი და...ვიღაც მოვა!

□

მე ხიდზე ვდგევარ, ვხრ მათხოვარი, წინ ქუდის ნაცვლად მიგდია სული _ ჩაყარეთ სითბო.

□

მთელი ცხოვრება ვერ ითარეშებ

□

მაინც რა არის სიცოცხლის არსი? ის, რასაც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ვიგებთ.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს მზევინარ ძნელაძეს და შურა შკუბულიანს რძლის
მაშიკო ვასილის ასული სვანიძე-შკუბულიანის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს მაყვალა კოპალიანს ბიძის
ჭიჭიკო კოპალიანის
გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიონის გამგეობა სამძიმარს უცხადებს ავთო კოპალიანს მამის
ჭიჭიკო კოპალიანის
გარდაცვალები გამო.

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზევინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 ტელ: 22-66

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის სს „მანდარიას სტამბაში“
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 70780, 73499